MES 9 22 0000805638

14/07/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 30.06.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:25 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე
სხდომის მდივანი: მაკა კაჭარავა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ერეკლე ასტახიშვილი -** შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;

4. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
5. **ირინა გველესიანი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **თამარ ზარანდია** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი;
7. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
8. **ირინა ლობჟანიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
10. **თეა მჭედლური** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
11. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
12. **თამარ სირაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
13. **დავით ტეფნაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
14. **ეკატერინე შაკიაშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
15. **გურანდა ჭელიძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	**ნინო სარჯველაძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	**ანა ჯავახიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	**ანა ქოიავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი

1	თეა კორძაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I - II
2	ნანა შონია		- ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	I - II
3	თენგიზ კუპრაშვილი		ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I - II
4	მზია თადუმაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	I - II
5	ნინო შატბერაშვილი	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს	ასოცირებული პროფესორი, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;	III - VII
6	თამარ მახარაძე -		ასოცირებული პროფესორი, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;	III - VII
7	სალომე ნამიჭეიშვილი -		ასოცირებული პროფესორი, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III - VII
8	რევაზ ჯორბენაძე -		პროფესორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ხარისხის სამსახურის უფროსი;	III - VII
9	ირმა გრძელიძე -		ასოცირებული პროფესორი, თსუ ხარისხის სამსახურის უფროსი;	III - VII
10	ქრისტინე ჩიხლაძე -		თსუ ხარისხის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;	III - VII
11	ნინო ქიმერიძე -		ასოცირებული პროფესორი, თსუ ხარისხის სამსახურის აკრედიტაციის, კვლევებისა და შეფასების განყოფილების უფროსი;	III - VII
12	ნინო ლაპიაშვილი			III - VII

			საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი;	
13	გიორგი მახარობლიშვილი -		იურიდიული ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი;	III - VII

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ	საკითხი
1	თინა ცომაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ქრისტინე ჩიხლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ნინო დანელია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ანა მჭედლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ირმა ინაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	გიორგი მირიანაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
7	ლევან ცაგარელი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
8	იოსებ ბერიკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
9	თამთა კობახიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
10	მარიამ მაჭავარიანი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III
11	შორენა სამაგლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, V, VI
12	ინგა საითაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, V, VI
13	დარეჯან დვალიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, V, VI
14	ელენე გავაშელიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, V, VI
15	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, V, VI

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა, ხოლო სხდომის მდივნად განისაზღვრა მაკა კაჭარავა (I-IV საკითხი).
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ევროპისმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ევროპისმცოდნეობის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· კი

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი განაცხადის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ევროპისმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ევროპისმცოდნეობის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალური მუშაობის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1.პირველი საკითხი : სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასობრივი კომუნიკაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	17.10.2011 აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N118
5		სოციალური მეცნიერებები

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ამარ მეფის ქუჩა ,No59 ,ქუთაისი, სასწავლო კორპუსი No1; 4600, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

ეორე საკითხი : სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი განაცხადის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

სიტყვა ითხოვა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ლალი ოდიშვილმა. მან განაცხადა, რომ განსახილველი წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეიწავლა ცწენტრში შემოსული განაცხადი. ამ განაცხადში მოქალაქე აღნიშნავდა, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ,,ჟურნალისტიკის" (მასობრივი კომუნიკაციის)

საბაკალავრო პროგრამის შემუშავებასა და სააკრედიტაციოდ მომზადებასთან დაკავშირებულ პრობლემებს და, ასევე, უნივერსიტეტის მხრიდან მისდამი შესაძლო დისკრიმინაციული დამოკიდებულების საკითხებს.
ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში შეისწავლა განაცხადში დაფიქსირებული საკითხები და ვერ აღმოაჩინა ფაქტები, რომელიც მოქალაქისადმი დისკრიმინაციულ მოპყრობას დაადასტურებდა, ხოლო რაც შეეხება პროგრამაში არსებულ ხარვეზებს, იგი სრულად მოიცვეს და ასახეს დასკვნაში.

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ვიზიტი სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში "მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესამოწმებლად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიმართა ჰიბრიდულ რეჟიმში, ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით 2022 წლის 25 მარტს. ექსპერტთა ჯგუფის ნაწილი სააკრედიტაციო პროგრამის განმახორციელებელ უნივერსიტეტში ვიზიტზე ფიზიკურად იმყოფებოდა. ნაწილმა მატერიალური ბაზის დათვალიერება ონლაინ რეჟიმში განახორციელა. ჯგუფის წევრებს უნივერსიტეტში ვიზიტის დროს ჰქონდათ ერთმანეთთან ონლაინ კავშირი და აზრების გაცვლის შესაძლებლობა. ექსპერტებმა დაათვალიერეს სასწავლო ინფრასტრუქტურა, საჭირო აღჭურვილობა და ინვენტარი, რაც აუცილებელია საინფორმაციო–საკომუნიკაციო სწავლებისათვის. ჯგუფმა დაათვალიერა სასწავლო აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზი, ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა ბიბლიოთეკა და მისი სამკითხველო დარბაზი, დაათვალიერეს საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები. ზუმის პლატფორმის გამოყენებით შედგა გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან, ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან, ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან და რეგიონში მოღვაწე დამსაქმებლებთან. ჯგუფი ონლაინ გაეცნო სტუდენტების მიერ შექმნილ მედიანამუშევრებს, შემთხვევითი შერჩევის წესით გადაამოწმა სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურა და საბიბლიოთეკო ბაზებთან ხელმისაწვდომობა. გაეცნო უნივერსიტეტის ყოფილი თანამშრომლის ნანა შენგელიას სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილ საჩივარს, დასვა კითხვები ამ საჩივართან დაკავშირებით უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. იმსჯელა საჩივრის იმ ნაწილზე, რომელიც პროგრამის აკრედიტაციას შეეხებოდა.
საჩივარში მითითებული საკითხები ძირითადად შემდეგი მიმართულებით ჩამოყალიბდა: პროგრამის სტრუქტურა, აკადემიური პერსონალის სიმცირე, სტუდენტთა დასწრების პრობლემურობა, ადმინისტრაციის და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ერთპიროვნულად გადაწყვეტილებების მიღება. მოქალაქის მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილია საჩივარი განსახილველი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ „პროგრამა არ არის მომზადებული გუნდის მიერ და არ არის აკადემიური, პირიქით, შეთხზული, მიკიბულ-მოკიბული, ვიღაც ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის სპეციალისტების მიერ ექსპერტების გულის მოსაგებად თუ თვალის ასახვევად გადამუშავებული მასალაა“. საჩივარში, ასევე, აღნიშნული იყო, რომ „აკრედიტაციას ითხოვს ჟურნალისტიკის მიმართულება, რომლის დისკრიმინირებული პროფესორის სამსახურიდან რამდენიმე დღის წინ წავიდა“. სამუშაო ჯგუფმა დრო დაუთმო საჩივარში გაჟღერებულ საკითხებზე მსჯელობას და თავისი დასკვნები წარმოადგინა მოცემული დოკუმენტის შესაბამის სექციებსა და თავებში, სადაც ჯგუფი მიმოიხილავს პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობას, რომელთა დაწვრილებით გაცნობაც ქვემოთ არის შესაძლებელი.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა – მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორეს ტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა – მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა – შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები – მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის მიზნების მეტი კონკრეტიზაცია და დავიწროება და ფოკუსირება ისეთ ღირებულებებზე, როგორიცაა დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობა და ხელშეწყობა.
2. რეკომენდებულია, რომ პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებისას გამოყენებული ენა იყოს მარტივი. სათქმელი მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბდეს, ორაზროვანი ინტერპრეტაციის თავიდან ასარიდებლად.
3. რეკომენდებულია, დამატებითი პროგრამის სტრუქტურაში განისაზღვროს 60 კრედიტიდან რამდენია სავალდებულო და რამდენი არჩევითი კრედიტი. დამატებით პროგრამაში არჩევითი საგნების ჩამონათვალის მითითება, განსხვავებით სავალდებულო სასწავლო კურსებისგან, სავალდებულო არ არის.
4. რეკომენდებულია პროგრამაში კომუნიკაციის მიმართულების გაძლიერება და შესაბამისი სასწავლო კურსების დამატება (შესაძლებელია ეს იყოს მედიაკამპანიის გეგმის შექმნა ან მედიაკამპანიის წარმოება).
5. რეკომენდებულია, საგანი მედია ეთიკა და სამართალი ისწავლებოდეს პირველივე სემესტრში, რათა სტუდენტს შეუქმნას მყარი საფუძველი მომდევნო კურსებისთვის მოცემული დავალებების მაღალი ეთიკური სტანდარტით შესასრულებლად, ჟურნალისტიკასა და კომუნიკაციას შორის მკაფიო საზღვრის უკეთ აღსაქმელად.
6. რეკომენდებულია, რომ პრაქტიკის კურსში სტუდენტის შეფასება ემყარებოდეს არა მხოლოდ პრაქტიკის აღწერას, არამედ, პრაქტიკულად შესრულებულ სამუშაოს.
7. რეკომენდებულია, რომ სტუდენტმა პრაქტიკა გაიაროს არა მხოლოდ მედია ორგანიზაციებში, არამედ, პიარის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებში ან სახელმწიფო/კერძო/არასამთავრობო ორგანიზაციების საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტებში იმისათვის, რომ პროგრამის მიერ დასახული მიზნის შესაბამისად, სტუდენტს უკეთ განუვითარდეს შესაბამისი პრაქტიკული/ტრანსფერული უნარები კომუნიკაციის დარგში.
8. რეკომენდებულია, პრაქტიკული კომპონენტის დახვეწა, რაც მოითხოვს სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების გადახედვას და მკაფიო კრიტერიუმების შემუშავებას.
9. რეკომენდებულია, კიდევ ერთხელ გადაიხედოს უნარებზე ორიენტირებული კურსების სწავლების მეთოდები პროგრამის ხელმძღვანელის დასარწმუნებლად, რომ თითოეულ კურსში თავიდანვე მკაფიოდაა დაგეგმილი ის აქტივობები, რამაც სტუდენტი სასწავლო შედეგზე უნდა გაიყვანოს.
10. რეკომენდებულია, შეფასების სისტემა უკეთ მოერგოს თითოეული კურსის სპეციფიკას, რათა სტუდენტს შეეძლოს მასალის სრულყოფილად ათვისება და იმ ცოდნისა თუ უნარების შეძენა, რაც გათვალისწინებულია კურსის ფარგლებში.

11. რეკომენდებულია, რომ სასწავლო დაწესებულებაში ჩამოყალიბდეს, გაიწეროს და ამოქმედდეს აუდიო-ვიზუალური ტექნიკის მოხმარების წესები და რეგულაციები.
12. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო სამსახურებმა გააქტიურონ მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან, რათა ერთი მხრივ, პროგრამის შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მოხდეს მათი ეფექტიანი ჩართულობა (რაც ხელს შეუწყობს პროგრამაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების როგორც დახვეწას, ისე საჭიროების შემთხვევაში ახალი მექანიზმების შემუშავებას), ხოლო მეორე მხრივ, აკადემიური გუნდის წევრებს შორის პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების მიმართულებით უფლებამოვალეობათა და განსახორციელებელ ამოცანათა დელეგირებას.
13. რეკომენდებულია შრომის ბაზრის და დამსაქმებლების მოთხოვნების კვლევის დოკუმენტის უფრო მეტად დეტალიზაცია;
14. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დახვეწა და დაკონკრეტება;
15. რეკომენდებულია განხორციელდეს პროგრამის უცხოურ (სურვილის შემთხვევაში ქართულ) საგანმანათლებლო პროგრამებთან დადარება საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების, დარგის განვითარებისა და შრომის ბაზრის ტენდენციების მიდევნების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ დასკვნაში რეკომენდაციების ფორმულირება სხვანაირია, თავად კომპონენტებთან მიმართებით სხვანაირია. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ერთ-ერთ კომპონენტში მოცემულია პროგრამის სწავლის შედეგები, რაც ავტომატურად ცვლის შეფასებას. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექპერტებს საკითხის დაზუსტებისკენ.

საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა, აღნიშნა ექსპერტთა მიერ განსაზღვრული რჩევა, კერძოდ: სასურველია, რომ კურიკულუმში ყურადღება მიექცეს კურსების და, შესაბამისად, სილაბუსების თანმიმდევრობას ისე, რომ ყოველი შემდგომი სილაბუსი ეფუძნებოდეს წინა სასწავლო კურსებში მიღებულ ცოდნას. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტებს განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა აკადემიური პერსონალის სივი და დააზუსტა თუ რამდენად საჭიროა პროგრამის ფარგლებში გეოგრაფის კვალიფიკაციის მქონე ადამიანი. ამასთან ერთ-ერთი რჩევა გულისხმობს, რომ სასურველია პროგრამა მოიცავდეს საბაკალავრო ნაშრომს, იმისათვის, რომ შედეგების გაზომვა მოხდეს უფრო კარგად. გამომდინარე აქედან, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად გავა პროგრამა სწავლის შედეგებზე საბაკალავრო ნაშრომის გარეშე.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, დააზუსტა, თუ რა ალტერნატივას სთავაზობს დაწესებულება სტუდენტებს გამომდინარე იქიდან, რომ საბაკალავრო ნაშრომი განსაზღვრულია რჩევებში. სევე, დააზუსტა განხორციელებულა თუ არა პროგრამის გარე შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტმა განმარტა, რომ რეკომენდაციაში აღნიშნულია პროგრამის მეტი დავიწროებისა და ფოკუსირების საჭიროების შესახებ. ამასთან სასწავლო პროგრამაში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ის, რაც წერია მიზნებში, რაც, საბოლოოდ, უნდა აისახებოდეს შედეგებზე. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ საბჭო უნდა დაეყრდნოს კომპონენტებში მოცემულ შეფასებას.

ექსპერტმა განმარტა, რომ საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებული საკითხი თავდაპირველად განსაზღვრული იყო რეკომენდაციის სახით, თუმცა უნივერსიტეტისგან უკუკავშირის მიღების შემდეგ, რომლის შესაბამისადაც მათთვის რთული იქნებოდა აღნიშნულის შესრულება,

ექსპერტებმა დასკვნის შემუშავებისას გაითვალისწინეს. რაც შეეხება საგნების თანმიმდევრობასა და პრერეკვიზიტებს მოცემული საკითხი ყველგან არ იყო დარღვეული, შესაბამისად, რჩევის სახით განისაზღვრა.
ექსპერტმა ისაუბრა, ასევე, საბაკალავრო ნაშრომზე. კერძოდ, პროგრამაში განსაზღვრულია გარკვეული საგნები, რომლებიც იმავე შედეგზე გადის, რაც საბაკალავრო ნაშრომი, მაგალითად კრიტიკული აზროვნება, კვლევის მეთოდები და ასე შემდეგ. მსგავსი ნაწილები პროგრამის ფარგლებში განსხვავებული სასწავლო კურსებით ივსება. დაწესებულება აპირებს პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებას, თუმცა საბაკალავრო ნაშრომისთვის აუცილებელი კვლევითი კომპონენტი დაწესებულებისთვის მომდევნო ეტაპია.
რაც შეეხება გარე შეფასებას, პროგრამა შეფასდა როგორც საზღვარგარეთ არსებული, ასევე ქართული უნივერსიტეტების მიერ, რაც ასევე აღნიშნული იყო თვითშეფასებაში. ექსპერტებმა დაწესებულებიდან გამოითხოვეს აღნიშნული დოკუმენტი, თუმცა არ მიუღიათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით. კერძოდ, აღნიშნა, რომ საჩივრის წარმდგენი იყო მიმართულების პროფესორი. ფაკულტეტმა არა ერთხელ უზრუნველყო მისი ჩართულობა საერთაშორისო ღონისძიებებსა თუ ვიზიტებში, თუმცა მას ჰქონდა ამერიკის ვიზა და ყოველ ზაფხულს დადიოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. საბოლოოდ, კი მოხდა ისე, რომ აღნიშნული პირი არ ჩაერთო პროგრამის შექმნასა და განვითარებაში, უარს აცხადებდა ყველა შეხვედრაზე. აღნიშნული პირის მიერ დაწესებულების არც ერთი მხარისგან არ განხორციელებულა არანაირი ფორმის დისკრიმინაცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე, ისაუბრა საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშრებით და განმარტა, რომ ზოგადად უნივერსიტეტს არც ერთ საბაკალავრო პროგრამაზე არ აქვს განსაზღვრული საბაკალავრო ნაშრომი, თუმცა მოცემულ პროგრამაში გაძლიერებულია რეფერატის ნაწილი. ამასთან, პროგრამა ნამდვილად პრაქტიკაზე ორიენტირებულია. საბაკალავრო ნაშრომს პროგრამის ფარგლებში ანაცვლებს რეფერატები და რეალური სიუჟეტები.
რაც შეეხება გეოგრაფიის კვალიფიკაციის მქონე პირს, იგი ,,საზოგადოებრივი გეოგრაფიის შესავალს“ ასწავლის, რომელიც პროგრამის ფარგლებში არჩევით საგანს წარმოადგენს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე, აღნიშნა, რომ ინსტიტუციის მიერ მოხდება ყველა რეკომენდაციის გათვალისწინება, რაც მნიშვნელოვანია როგორც პროგრამის, ასევე რეგიონში აღნიშნული საკითხის განვითარებისთვის.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ პროგრამა ახალია თუ რეაკრედიტაციას გადის, რადგან საქმე ეხება განსხვავებულ ვადებსა და პროცედურებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამა რეაკრედიტაციის პროცესს გადის, რადგანაც სოციალური მეცნიერებების პროგრამა სამ მიმართულებას მოიცავდა და სამივე პროგრამის სამართალმემკვიდრე იყო ის ერთი სოციალური მეცნიერებების პროგრამა.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ ვინაიდან სოციალურ მეცნიერებათა პროგრამას მოცემული პროგრამა გამოეყო, საუბარია სავსებით ახალ პროგრამაზე. შესაბამისად, აუცილებელია დაზუსტდეს პროცედურული საკითხი.
საბჭოს წევრმა, თეა მჭედლურმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს ესაუბრათ ჩარიცხვისა და დასაქმების მაჩვენებელთან დაკავშირებით.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პირველ კურსზე არის 15 სტუდენტი, მეორეზე- 17, მესამეზე-19 და მეოთხე კურსზე 12 სტუდენტი ირიცხება. პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესში ჩართულია 16 აკადემიური პერსონალი, მათ შორის, დარგის 4 ასოცირებული პროფესორი. ამასთან დაწესებულებამ გაზარდა პრაქტიკოს სპეციალისტთა რაოდენობა როგორც რეგიონიდან და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლების, ასევე თბილისიდან,

რომლებიც საკამოდ დიდი ინტერესით არიან პროგრამის მიმართ და აქტიურად არიან მის განვითარებაში ჩართულნი.
პროგრამის ხელმძღვანელმა რეაკრედიტაციის საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამა ცენტრში შეტანილი იყო როგორც ახალი და მას უნდა გაევლო აკრედიტაციის პროცესი, თუმცა ცენტრის მიერ მოხდა ხარვეზის დადგენა, რის შედეგადაც პროგრამა რეაკრედიტაციაზე გავიდა.
ცენტრის წარმომადგენელმა, ლალი ოდიშვილმა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ სოციალური მეცნიერებების პროგრამა, რომელიც მოიცავდა სამ მოდულს და გადიოდა სამ კვალიფიკაციაზე, აკრედიტებულია 2011 წელს, მაგრამ არსებული რეგულაციით, საბაკალავრო პროგრამა სამ კვალიფიკაციაზე ვერ გავა. გარდა ამისა ახალი ჩარჩოს მიხედვით სამივე პროგრამა ჩარჩა სხვადასხვა დეტალურ სფეროში. აკრედიტაციის დებულების 30-ე მუხლის თანახმად, ასეთი პროგრამების დაშლის შემდეგ, მისი შემადგენელი არც ერთი ნაწილი ახალ პროგრამად არ ითვლება და შესაბამისად, განიხილება როგორც რეაკრედიტაცია.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:05
დასრულები სდრო: 16:18

ირველი საკითხი:
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

აბჭომ სრულად გაიზიარა აკრედიტაცის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები, თუმცა დაამატა გარკვეული რჩევები და რაკომენდაციები. სევე ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახლური შეფასება, კერძოდ, 2.2 და 2.3 კომპონენტები ნაცვლად "მერწინად შესაბამისია მოთხოვნებთან" შეაფარა, როგორც "ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან" , შესაბამისად მე-2 სტანდარტი, ნაცვალდ "მეტწილად შესაბამისა მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც "ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან

რეკომენდაციები

1. რეკომენდებულია, რომ პროგრამის მიზნების ჩამოყალიბებისას გამოყენებული ენა იყოს მარტივი. სათქმელი მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბდეს, ორაზროვანი ინტერპრეტაციის თავიდან ასარიდებლად. რეკომენდებულია პროგრამის მიზნების მეტი კონკრეტიზაცია და დავიწროვება;
2. რეკომენდებულია პროგრამის მიზნებსა და შედგების ჩამოყალიბების დროს ღირებულებებზე მეტად ფოკუსირება.;
3. რეკომენდებულია, დამატებითი პროგრამის სტრუქტურაში განისაზღვროს 60 კრედიტიდან რამდენია სავალდებულო და რამდენი არჩევითი კრედიტი. დამატებით პროგრამაში არჩევითი საგნების ჩამონათვალის მითითება, განსხვავებით სავალდებულო სასწავლო კურსებისგან, სავალდებულო არ არის.
4. რეკომენდებულია პროგრამაში კომუნიკაციის მიმართულების საგნების დამატება და ამ მიმართულების გაძლიერება(შესაძლებელია ეს იყოს მედიაკამპანიის გეგმის შექმნა ან მედიაკამპანიის წარმოება)
5. რეკომნდებულია პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომის/პროექტის შემოტანა, მათ შორის მედიის კვლევის მეთოდების შესწავლისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით, ისევე როგორც მედიასფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის.

6. რეკომენდებულია, რომ საგანი მედიაეთიკა და სამართალი ისწავლებოდეს პირველივე სემესტრში, რათა სტუდენტს შეუქმნას მყარი საფუძველი მომდევნო კურსებისთვის მოცემული დავალებების მაღალი ეთიკური სტანდარტით შესასრულებლად, ჟურნალისტიკასა და კომუნიკაციას შორის მკაფიო საზღვრის უკეთ აღსაქმელად.
7. რეკომენდებულია, რომ პრაქტიკის კურსში სტუდენტის შეფასება ემყარებოდეს არა მხოლოდ პრაქტიკის აღწერას, არამედ, პრაქტიკულად შესრულებულ სამუშაოს.
8. რეკომენდებულია, კურიკულუმში დაცულ იქნას სასწავლო კურსების ლოგიკური თანმიმდევრობა და ამ სასწავლო კურსებზე პრერეკვიზიტების საკითხი.
9. რეკომენდებულია, რომ სტუდენტმა პრაქტიკა გაიაროს არა მხოლოდ მედია ორგანიზაციებში, არამედ, პიარის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებში ან სახელმწიფო/კერძო/არასამთავრობო ორგანიზაციების საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტებში იმისათვის, რომ პროგრამის მიერ დასახული მიზნის შესაბამისად, სტუდენტს უკეთ განუვითარდეს შესაბამისი პრაქტიკული/ტრანსფერული უნარები კომუნიკაციის დარგში.
10. რეკომენდებულია, პრაქტიკული კომპონენტის დახვეწა, რაც მოითხოვს სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული მემორანდუმების გადახედვას და მკაფიო კრიტერიუმების შემუშავებას.
11. რეკომენდებულია, რომ კიდევ ერთხელ გადაიხედოს უნარებზე ორიენტირებული კურსების სწავლების მეთოდები, რომ პროგრამის ხელმძღვანელი დარწმუნდეს, რომ თითოეულ კურსში თავიდანვე მკაფიოდაა დაგეგმილი ის აქტივობები, რამაც სტუდენტი სასწავლო შედეგზე უნდა გაიყვანოს.
12. რეკომენდებულია, რომ შეფასების სისტემა უკეთ მოერგოს თითოეული კურსის სპეციფიკას, რათა სტუდენტს შეეძლოს მასალის სრულყოფილად ათვისება და იმ ცოდნისა თუ უნარების შეძენა, რაც გათვალისწინებულია კურსის ფარგლებში.
13. სასურველია, უსდ-ს მიერ საკონსულტაციო მომსახურების აპარატის სრულყოფილად გამართვა; კარიერული სამსახურის ფუნქციის შემთავსებელი სტრუქტურული ერთეულების როლის გაძლიერება და ამ ერთეულის ფუნქციების შესახებ ცნობიერების ამაღლება სტუდენტებს შორის.
14. რეკომენდებულია, სასწავლო დაწესებულებაში ჩამოყალიბდეს, გაიწეროს და ამოქმედდეს აუდიო-ვიზუალური ტექნიკის მოხმარების წესები და რეგულაციები.
15. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო სამსახურებმა გააქტიურონ მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან, რათა ერთი მხრივ, პროგრამის შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში მოხდეს მათი ეფექტიანი ჩართულობა (რაც ხელს შეუწყობს პროგრამაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების როგორც დახვეწას, ისე საჭიროების შემთხვევაში ახალი მექანიზმების შემუშავებას), ხოლო მეორე მხრივ, აკადემიური გუნდის წევრებს შორის პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების მიმართულებით უფლებამოვალეობათა და განსახორციელებელ ამოცანათა დელეგირებას
16. რეკომენდებულია შრომის ბაზრის და დამსაქმებლების მოთხოვნების კვლევის დოკუმენტის უფრო მეტად დეტალიზაცია;
17. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დახვეწა და დაკონკრეტება;
18. რეკომენდებულია პერიოდულად განხორციელდეს პროგრამის უცხოურ (სურვილის შემთხვევაში ქართულ) საგანმანათლებლო პროგრამებთან დადარება საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების, დარგის განვითარებისა და შრომის ბაზრის ტენდენციების მიდევნების მიზნით.

რჩევები:

1. სასურველია, რომ მეტად იყოს ყურადღება გამახვილებული მასკომუნიკაციის პროგრამის კურსდამთავრებულის დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობასა და მის ხელშეწყობაზე.
2. სასურველია, რომ მეტად იყოს ხაზგასმული ისეთი უნარები და კომპეტენციები როგორიცაა დემოკრატიული საზოგადოებისთვის ჟურნალისტიკის როლის გაცნობიერება, ჟურნალისტიკის მომავალზე რეფლექსია.
3. სასურველია, პროგრამაში შემოტანილ იქნას საბაკალავრო ნაშრომი და წარმოადგენდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ერთ-ერთ ინსტრუმენტს, სადაც აისახებოდა და გაიზომებოდა სტუდენტების მიერ კვლევითი უნარები, დასკვნის გაკეთებისა და ახალი ცოდნის ხელშემწყობი სხვა უნარები. საგულისხმოა, რომ ამაზე აქცენტი შრომითი ბაზრის კვლევის შედეგებშიც გაკეთდა.
4. სასურველია, ახალი პროგრამის ამოქმედების შემთხვევაში სპეციალური ღონისძიებები გატარდეს ინფორმაციის ადრესატამდე მისასვლელად, შესაძლოა ეს იყოს მედიასაშუალებებში ან სოციალურ მედიაში რეკლამის განთავსება ან მიზანმიმართული მარკეტინგული/საინფორმაციო კამპანიის წარმოება ქუთაისში ახალი მასკომუნიკაციის პროგრამის ამოქმედების შესახებ.
5. სასურველია, რომ პროგრამის მოწვეული პერსონალი მეტად იყოს ჩართული აკადემიურ პროცესში და ზოგადად, პროგრამის მიზნები უფრო მკაფიოდ ჰქონდეთ გააზრებული.
6. სასურველია, რომ ჟურნალისტიკის და კომუნიკაციის მიმართულებები ერთმანეთთან გამიჯნული იყოს ლექტორის დონეზე. ერთი და იგივე ლექტორი სასურველია, რომ არ ასწავლიდეს ორივე მიმართულებით.
7. სასურველია, რომ მოიძიონ ახალი გამოცდილებისა და ცოდნის ლექტორები რეგიონში, რომლებიც მოწვეული ლექტორების სახით შემოიტანენ ახალ ცოდნას სასწავლო პროგრამაში.
8. სასურველია ისწავლებოდეს პოლიტიკური პიარი ან შესავალი საჯარო კომუნიკაციაში, რათა გაძლიერდეს კომუნიკაციის მიმართულება და პროგრამა მკვეთრად არ იხრებოდეს ჟურნალისტიკის მიმართულებით. ასევე, სასურველია, ისწავლებოდეს ციფრული მედიის მარკეტინგი, ამ მიმართულებით ბაზარზე მაღალი მოთხოვნაა.
9. სასურველია, უსდ-ს მიერ საკონსულტაციო მომსახურების აპარატის სრულყოფილად გამართვა; კარიერული სამსახურის ფუნქციის შემთავსებელი სტრუქტურული ერთეულების როლის გაძლიერება და ამ ერთეულის ფუნქციების შესახებ ცნობიერების ამაღლება სტუდენტებს შორის.
10. სასურველია პროგრამის ბიუჯეტში მკაფიოდ გაიწეროს, როგორც შემოსავლების მიღების ყველა პოტენციური წყარო, ასევე გასაწევი ხარჯების ყველა კომპონენტი.
11. სასურველია მოხდეს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გაწერილი კომპონენტების ხარჯების გადახედვა და დაზუსტება (პრაქტიკის ხარჯი და სტიპენდია).
12. სასურველია პროგრამის სამუშაო ჯგუფმა ინტენსიურად გამოიყენოს უნივერსიტეტის საერთაშორისო კავშირები, რათა უზრუნველყოს პროგრამის გარე ექსპერტიზაში დარგის უცხოელი სპეციალისტებისა და ექსპერტების ჩართვა. აღნიშნული პროგრამის აკადემიურ გუნდს დაეხმარება შეიმუშავოს ევროპულ ან/და საერთაშორისო საგანმანთლებლო და შრომის ბაზრის სივრცესთან მისადაგებული პროგრამა, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების როგორც დასაქმებას ადგილობრივ და საერთაშორისო შრომით ბაზარზე, ისე სასწავლო და კვლევითი მობილობის შეუფერხებელ განხორციელებას.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^2 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-3^2 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს “მასობრივი კომუნიკაციის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

მეორე საკითხი:
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილ განაცხადდთან დაკავშირებით მონიტორინგზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის “მასობრივი კომუნიკაციის” საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საბჭოს სხდომა დატოვა, საბჭოს წევრმა ლევან მოსახლიშვილმა 16:18 საათზე

3. მესამე საკითხი : სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ევროპისმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ევროპისმცოდნეობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-

3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ევროპისმცოდნეობის ბაკალავარი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0388 - ინტერდისციპლინური - მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ლია ჭავჭავაძის გამზ. N3, თბილისი, მეორე აკადემიური კორპუსი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა - თამარ ზარანდიამ, დავით ჩოჩიშვილმა და ირინა გველესიანმა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციი სგანხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა 2022 წლის 10 ივნისს. გარდა ამისა, მოხდა თსუ-ს ევროპული კვლევების ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, და სხვ.) დათვალიერება, რომელიც მოემსახურება საბაკალავრო პროგრამის ფუნქციონირებას. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება გაგრძელდა 1 დღის განმავლობაში 09.00-დან 19.00 საათამდე. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტები იყვნენ ინფორმატიულები, მომზადებულები და გულწრფელები, რამაც ექსპერტთა ჯგუფს მისცა ადეკვატური და ობიექტური შეფასებების გაკეთების შესაძლებლობა.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ევროპისმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორესტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები -შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. საბაკალავრო პროგრამას სავალდებულო სასწავლო კურსად დაემატოს სასწავლო კურსი „საერთაშორისო სამართალი“.

2. საბაკალავრო პროგრამას არჩევით სასწავლო კურსად დაემატოს სასწავლო კურსი „საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი“.

3. საბაკალავრო პროგრამას არჩევით სასწავლო კურსად დაემატოს უნივერსალური და რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების შემსწავლელი კურსი.

4. რეკომენდირებულია, სასწავლო კურსებში - „თვისებრივი კვლევის მეთოდები“, „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“, „ბრიტანეთის პოლიტიკა“, „ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკური სისტემები“, „ევროპის დემოგრაფიული განვითარება“, „ევროინტეგრაციის ეკონომიკის შესავალი“ - გადაიხედოს შეფასების კომპონენტები და თითოეულისთვის გაიწეროს შესაბამისი აღწერა, შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები.

5. პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა იყოს დაბალანსებული იმგვარად, რომ პროფესორ-მასწავლებელთა სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი და ადმინისტრაციული საქმიანობა მეტად იყოს დაკავშირებული ევროპისმცოდნეობის პროგრამასთან.

6. თსუ-მ უზრუნველყოს პროგრამის სტუდენტები სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა, რომ პროგრამას ჰყავს ოთხი ხელმძღვანელი და ერთი კოორდინატორი, შესაბამისად საკმაოდ რთულია ასეთ შემთხვევაში კოორდინირებულად მუშაობა, აქედან გამომდინარე საბჭოს წევრმა სთხოვა უსდ-ს მოეყოლათ, მათ შორის, კოორდინირების პროცესის შესახებ.

ამასთან, საბჭოს წევრმა დააზუსტა, რომ პროგრამაში მოჭარბებული რაოდენობით ხომ არ არის ეკონომიკური ბლოკის საგნები, მაშინ როცა ევროპისმცოდნებისათვის მნიშვნელოვანი რიგი დისციპლინები, მაგალითად ევროკავშირის ენერგოპოლიტიკა და სხვა მოცემულია არჩევითი

საგნების ჯგუფში. საბჭოს წევრმა, ასევე, აღნიშნა, რომ დღეს წარმოდგენილი ლიტერატურითა და სახელმძღვანელოებით სასწავლო კურსების რიგი სილაბუსი საჭიროებს განახლებასა და სრულყოფას. .

აბჭოს წევრი, ასევე, დაინტერესდა პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენის სწავლების საკითხით, რამდენად შეძლებს სტუდენტი პროგრამაში ჩართული ინგლისურენოვანი კომპონენტებით სწავლის შედეგზე გასვლას, როდესაც პროგრამის ფარგლებში ინგლისური ენა მხოლოდ ორი სემესტრის განმავლობაში ისწავლება.

აბჭოს წევრის აზრით, მნიშნელოვანია, ასევე, მემორანდუმების საკითხი, პარლამენტთან განახლებულ მემორანდუმში არ არის მოცემული არც მემორანდუმის გაფორმების თარიღი, არც დაწესებულებების ხელმძღვანელთა ხელმოწერითაა დადასტურებული, გარდა ამისა მემორანდუმში საუბარია შესაძლო სტაჟირების გავლის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

სტაჟირებასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ დამსაქმებელთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ უკვე არსებობს პოზიტიური გამოცდილება ევროპული ინტეგრაციის კომიტეტის თანამშრომლობის კუთხით, რაც დღემდე გრძელდება და კიდევ გაძლიერდება.

რაც შეეხება ინგლისური ენის სწავლების საკითხს, სილაბუსებში ~ლიტერატურის ნაწილი ინგლისურენოვანია, თუმცა B2 ინგლისურის გავლის შედმეგ სტუდენტებს სრულად ექნებათ შესაძლებლობა ამ კურსების დაძლევის. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურის შემოწმების დროს ექსპერტებს არ ჰქონიათ განცდა, რომ აღნიშნული არ ფარავს საბაკალავრო დონეს და საჭიროების მოდიფიცირებას.

ამასთან, ეკონომიკური ბლოკის საგნებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სავსებით მისაღებია მათი რაოდენობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ 2020 წელს ევროკავშირის ჟან მონეს პროექტის „ევროპისმცოდნეობის ინტერდისციპლინური საბაკალავრო პროგრამის დაარსება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ ფარგლებში აქტიურად დაიწყო ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაზე მუშაობა თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ადმინისტრაციის, აკადემიური პერსონალის, თსუ-ის ხარისხის მართვის როგორც ცენტრალური, ისე საფაკულტეტო (იურიდიული, ეკონომიკისა და ბიზნესის, სოციალურ მეცნიერებათა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა) სამსახურების წარმომადგენლების, ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების, უცხოელი ექსპერტების, პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტების წარმომადგენლების, ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების მისიების წარმომადგენლების, პოტენციური დამსაქმებლებისა და დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობითა და მხარდაჭერით. 2021 წლის განმავლობაში ჩატარებული საერთაშორისო სამუშაო შეხვედრების, პროგრამის კურიკულუმისა და სასწავლო სილაბუსების აქტიური შეფასება-განხილვის, რეკომენდაციების შედეგად აკრედიტაციისთვის მომზადდა ჟან მონეს ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა. ჟან მონეს ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა სრულად ეყრდნობა უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებს, ასევე, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგით განპირობებული შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ხელმძღვანელობს უნივერსიტეტისა და თსუ-ს ევროპული კვლევების ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმებით. პროგრამის სასწავლო გეგმის შემუშავებისას, ტრადიციულად გათვალისიწნებულ იქნა ევროკავშირის თემატიკაზე ოთხი სადამფუძნებლო ფაკულტეტის: იურიდიული, ეკონომიკისა და ბიზნესის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების შესაბამისი პროფილის კურსების შეთავაზების საკითხი, გამომდინარე აქედან სახეზეა ოთხი მოდული და ოთხი ხელმძღვანელი.

